



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების
ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“
შესაბამისობის შესახებ

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
21.06.2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
11.07.2022 წ.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2018 წლის 07 დეკემბრის N202 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მესხიშვილი, შპს აჭარა ჯგუფი“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტები „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. პროგრამამ წინა აკრედიტაცია გაიარა 2018 წლის 07 დეკემბრის N202 გადაწყვეტილებით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა და სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებას პროგრამაში განხორციელებული აქვს გარკვეული ცვლილებები.

ამასთან, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის (MES 4 22 0000779624, 08/07/2022) „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის დასკვნის პროექტებში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის წერილში ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის პროექტის დოკუმენტებში ასახულ მოსაზრებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციურად, დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შეფასებულ სტანდარტებთან (სტანდარტები: 1, 2, 4):

▪ რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით)

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა და სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რისთვისაც სტუდენტს უნდა:</p> <p>ა) შეასწავლოს ეროვნული სამართლის სისტემისა და საერთაშორისო სამართლის თავისებურებები;</p> <p>ბ) შეასწავლოს ქართული სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული ასპექტები;</p> <p>გ) შეასწავლოს იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდები;</p> <p>დ) გამოუმუშავოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;</p> <p>ე) გამოუმუშაოს იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით კომუნიკაციისა და მიღებული ცოდნის განახლების უნარი;</p> <p>ვ) გამოუმუშაოს პროფესიული ეთიკის ნორმების, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.</p> <p>პროგრამით ჩამოყალიბებული მიზნები მიმართულია შესაბამისი კომპეტენციების მქონე თანამედროვე პროფესიონალის მომზადებისკენ, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, არის მიღწევადი და გაზომვადი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებშიც, დარგების მიხედვით, დადგენილია მიზნები, რაც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგებია:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p>

აღწერს

1. სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, განმარტების მეთოდებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს;

2. კერძო, საჯარო, ან/და სისხლის სამართლის ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, მათ შორის:

- კერძო სამართლის სისტემას, მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის არსს, სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს.

უნარები

3. ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას;

4. ადგენს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებისას იურიდიული შინაარსის დოკუმენტებს (საჩივარი, სარჩელის და ა.შ.), ასევე ინდივიდუალურ და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კერძოსამართლებრივ და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს;

5. არჩევს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს კონკრეტული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებისას;

6. ანალიზებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის მიდგომებს და აყალიბებს საკუთარ დასაბუთებულ სამართლებრივ დასკვნებს შერჩეული მიდგომების დასასაბუთებლად;

7. ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ქართულ ან/და უცხოურ ენაზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიებას და განახლებული ცოდნის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციას.

პასუხისმგებლობა და ავტონომია

8. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა

უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;

პროგრამას აქვს სულ 8 შედეგი, რომელიც დაჯგუფებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის კომპეტენციების შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

სილაბუსებში წარმოდგენილია, საგნის სპეციფიკისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები, რომლებიც ეხმიანება პროგრამის სწავლის შედეგებს, ამავდროულად, სილაბუსებში სწავლის შედეგებიც კლასფიცირებულია სამი კომპეტენციის შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. მაგ.:

სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილის სილაბუსის მიხედვით: აღწერს სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპებს, ცნებებს, მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის ძირითად ტერმინოლოგიას, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, იერარქიას, სამოქალაქო სამართლის რეგულირების ფარგლებს, კერძო და საჯარო სამართალს შორის ურთიერგამიჯვნის ასპექტებს /თეორიებს, კერძო სამართლის სუბიექტთა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხებს, სამოქალაქო სამართლის რეგულირების ობიექტებს, კერძო ავტონომიის პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის ნორმათა დროში, სივრცესა და პირთა წრის მიმართ მოქმედ საფუძველებს.

სტუდენტს გაცნობიერებული აქვს კერძო ავტონომიის მნიშვნელობა, სამოქალაქო სამართლის არსი და ღირებულება, თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა, სამოქალაქო სამართლის ზეგავლენა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასა და პროგრესზე.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- მიღებული ცოდნის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივ ცნებებთან, პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში სამოქალაქო სამართლებრივ ნორმების (ზოგადი ნაწილი) განმარტება და პრაქტიკულ საქმიანობაში სწორად გამოყენება, ნორმის მოქმედებისა და გამოყენების თაობაზე მსჯელობა და არგუმენტაცია, იურიდიული დოკუმენტაციის შეფასება, გარიგების ნამდვილობისა და ბათილობის ასპექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, კონსულტაციის გაწევა, სამოქალაქო სამართლებრივ პროცედურებზე, ვადებზე და ხანდაზმულობაზე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის სწავლებაში. (მაგ. იურიდიული პირის რეგისტრაცია, სახელის შეცვლა და სხვ.).

• სტუდენტს აქვს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნების, სასამართლო პრაქტიკის მოძიების, ახალი მიდგომებისა და სიახლეების საქმიანობაში გამოყენების უნარი.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტი აღწერს: ვალდებულებითი სამართლის ცნებას, მიზნებს, ამოცანებს და მის ადგილს სამართლის სისტემაში, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, ვალდებულების ელემენტებს და მის კლასიფიკაციას. ვალდებულებით სამართალში მოქმედ პრინციპებს. ასევე, ისეთ საკითხებს, როგორცაა ხელშეკრულების დადება, შესრულება, დარღვევა, მეორადი მოთხოვნის უფლებები, ვალდებულების შეწყვეტა, მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითი-სამართლებრივი საშუალებები.

სტუდენტს შეუძლია:

- ვალდებულებით-სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების სწორად მოძიება, განმარტება და გამოყენება.
- ვალდებულებითი სამართლის საკითხებზე დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება.
- აანალიზებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებზე არსებულ პრობლემებს.
- ვალდებულებითი სამართლის საკითხებზე დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და ზეპირი და წერილობითი ფორმით ცოდნის დამაჯერებლად და დასაბუთებულად გადმოცემა.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის და მეცნიერული სიახლების მიდევნება და ცოდნის მუდმივად განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 350 სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge.</p> <p>სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - გამჭვირვალეა და ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულადაა ასახული საბაკალავრო პროგრამაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით; • თვითშეფასების ანგარიში; • ვებგვერდი www.sangu.edu.ge.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თვითშეფასების ანგარიში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) ირკვევა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N⁶⁹/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კერძოდ სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატა საგანი - საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება და მისი განხორციელების</p>

სარეკომენდაციო სემესტრად განისაზღვრა მე-7 სემესტრი. შესაბამისად თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდა 24 კრედიტიდან 18 კრედიტამდე. ამასთან შედეგების რუკიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საგნის სწავლება მოიცავს უნივერსიტეტის მიერ ჩამოყალიბებულ სწავლის რვავე შედეგს (იხ. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №2 (შედეგების რუკა).

სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგება საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია უცხო ენისა და კომუნიკაციის განმავითარებელი უნარების გამომუშავებისაკენ; სავალდებულოა პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი უცხო ენის შესწავლა B2 დონით, ასევე აკადემიური წერის და საოფისე ტექნოლოგიების საწყისების სასწავლო კურსის ათვისება.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 186 კრედიტს.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების, სამართლის (კერძო, საჯარო და სისხლის) დარგობრივი დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსების შესწავლისკენ;

არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს 18 კრედიტს. არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში, ასევე საკუთარი სურვილის შესაბამისად შეისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები. პროგრამის სტრუქტურა მოწყობილია იმგვარად, რომ სტუდენტს უადვილდება შემდეგ სასწავლო სემესტრში სწავლის გაგრძელება, რადგან მის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტი მას შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინა. პროგრამაში პრერეკვიზიტების სისტემა ლოგიკურად არის აგებული, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაძლიოს შემოთავაზებული სავალდებულო საგნები. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილია, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში ასახულია პროგრამის მხოლოდ სავალდებულო კომპონენტების შესაბამისი შინაარსი. სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსით სწავლის შედეგები დაფარულია. საერთო ჯამში, პროგრამის შინაარსი პროპორციულია საბაკალავრო სწავლების საფეხურთან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- შუალედური გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი;

<p>- დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი;</p> <p>- კომისიის წევრთა გასაუბრება წარმოებს დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p> <p>ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“. პროგრამით წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს და სრულად ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ასევე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა- სწავლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №2 (შედეგების რუკა); • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №1 (სასწავლო კომპონენტების სასწავლო გეგმა და მათი სემესტრული გადანაწილება (I –VIII)); • თვითშეფასების ანგარიში; • სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის და სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამა შედგება 55 საგნისაგან, რომელთაგანაც 37 სავალდებულო საგანია, ხოლო 18 არჩევითი. საგნები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: სავალდებულო სასწავლო კურსები (უცხო ენაზე კომუნიკაციის და დარგობრივი კომპეტენციები- 36 კრედიტი); სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსები (186 კრედიტი) და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (18 კრედიტი).

სასწავლო საგნის სილაბუსების შინაარსი და მათში მითითებული მასალა ეხმიანება სამართლებრივი ცვლილებების დინამიკას, წყაროთა განახლების პრინციპს. თუმცა წყაროთა განახლების კონტექსტში, საყურადღებოა შრომის სამართლის სილაბუსი, სადაც შესაძლებელია ძირითადი ლიტერატურის ნაწილში დაემატოს ახალი ლიტერატურა. მაგ: საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (2017წ), საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის სილაბუსი, სადაც შესაძლებელია დაემატოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი VII (2021 წ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>მიზანშეწონილია, სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით)</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის -ის მიერ წარმოდგენილი „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად,</p>

დადგინდა, რომ პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული მიმართულების განვითარებისა და გაძლიერების ასპექტებს, კერძოდ, სილაბუსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული შეფასების მეთოდები და აქტივობები, ამასთან, სავალდებულო საგნებად არის წარმოდგენილი იმიტირებული პროცესი სისხლის სამართალში, იმიტირებული პროცესი სამოქალაქო სამართალში, იმიტირებული პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში.

სტუდენტთა სხვა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
 - თვითშეფასების ანგარიში
 -

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 -

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში ასახულია, რომ გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ: ლექცია, სემინარი, დისკუსია/დებატები; დემონსტრირება; ახსნა-განმარტება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case Study); იმიტირებული სასამართლო პროცესი და სხვა. პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის თანახმად, გამიჯნულია სწავლება-სწავლის მეთოდები და შერჩეული მეთოდებისას გამოსაყენებელი აქტივობები; ხოლო აქტივობები დაჯგუფებულია სწავლის შედეგების მიხედვით „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“, „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“. წარმოდგენილ სილაბუსებში ეს არ არის გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დროთა განმავლობაში, სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები ან/და აქტივობები დაჯგუფდეს სწავლის შედეგების მიხედვით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
